იუბილე
JUBİLEE

ემზარ მაკარაძე - 50

მაქვს პატივი საიუბილეო თარიღი მივულოცო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ბატონ **ემზარ მაკარაძეს.**

ბატონი ემზარი მრავალი წელია ეწევა პედაგოგიურ-კვლევით საქმიანობას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ ხნის განმავლობაში განსაკუთრებული პატივისცემა, ნდობა და სიყვარული დაიმსახურა როგორც სტუდენტების, ასევე ლექტორ-მასწავლებლების მხრიდან. მან თავდაუზოგავი შრომისმოყვარეობით და სანიმუშო პროფესიონალიზმით შეძლო არაერთი მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა სამეცნიერო სფეროში. ამის დასტურია მის მიერ გამოქვეყნებული ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი თუ სტატია, ასევე მონოგრაფია, რომლებიც სტუდენტებისთვის სახელმწიფო ენაზე არსებულ შეუცვლელ სახელმძღვანელოებს წარმოადგენენ. მართალია ბატონი ემზარის ძირითად სამოღვაწეო საქმიანობა ბათუმის უნივერსიტეტს უკავშირდება, თუმცა კვლევის სამეცნიერო არეალი საკმაოდ ფართოა. იგი მუდმივად ღებულობს

მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში, სადაც საკუთარ გამოცდილებას უზიარებს როგორც ქართველ, ასევე უცხოელ კოლეგებს. იგი არის არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი საგრანტო პროექტის ავტორი. მუდმივად ჩართულია სტაჟირებისა და ტრენინგების პროცესში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ემზარ მაკარაძის დამსახურება 2015 წელს ბათუმის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ჩამოყალიბების საქმეში. აღნიშნული პერიოდიდან იგი ამ დეპარტამენტის ხელმძღვანელია. დეპარტამენტის ჩამოყალიბება მოხდა ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების პარალელურად წარმოადგენს ეროვნული იდეალებისადმი სამსახური და სამოქალაქო ცნობიერების ფორმირების პროცესებისადმი ხელშეწყობა. ამიტომაცაა ასეთი აქტიური პროფესორის პოზიცია, რომელსაც იგი დეპარტამენტთან ერთად იჩენს საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო თუ სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში. ბატონმა ემზარმა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით ოსტატურად შეძლო აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების თურქეთისმცოდნეობისა და თურქული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების თავმოყრა და სინთეზი.

ემზარ მაკარაძის ხელმძღვანელობით არაერთ ბაკალავრს, მაგისტრსა და დოქტორანტს წარმატებით განუხორციელებია საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობა. მასთან თანამშრომლობა განათლებას, ერთგულებას, პასუხისმგებლობას, შრომისმოყვარეობას ეფუძნება. ბატონი ემზარი საკუთარი პრინციპებითა და ღირებულებებით ქალაქის ერთ-ერთი აქტიური და ცნობილი სახეა. მრავალ სხვა ღირსებასთან ერთად მისი მეუღლეც და ვაჟიშვილიც პროფესორის მსგავსად სამეცნიერო სფეროში წარმატებით საქმიანობენ.

და ბოლოს, დეპარტამენტის, სტუდენტების, კოლეგების, ახლობლების სახელით ვულოცავთ 50 წლის იუბილეს ბატონ ემზარს! ჯანის სიმრთელეს, წარმატებულ კვლევით-შემოქმედებით საქმიანობას, მხნეობას და უშრეტ ენერგიას ვუსურვებთ ერთიან და ძლიერ ქვეყანაში.

მადონა გოგიტიძე
ისტორიის აკადემიური დოქტორი
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი